

24  
საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# ღიღია

აბეგუდი, ტურბა ქვეყანაზე,  
იღბინე, ქართველი მხარეო,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გახსარეო!

572/2  
1949



№ 11

ნოემბერი

1949

რეპაზ მარბინი

## ბერიას მოედნისაკენ

ნოემბრის დილა გათენდა,  
აბა, შინ როგორ დავრჩებით.  
ჩვენც საზეიმოდ მივდივართ  
გახარებული ბავშვები.

ბერიას მოედნისაკენ  
სიმღერით მივეჩქარებთ,  
ხელში დროშები გვიჭირავს,  
ყველას გვიბრწყინავს თვალები.

ჩვენც გვინდა ვნახოთ პარადი,  
ჩვენი ჭარები ქებული—  
ღამაზად გამონწყობილი  
და კობტად ჩამწყვილებული.

ჩვენც გვინდა ვნახოთ სარდალი  
გამარჯვებული იერით,  
ჩვენც გვინდა ერთად ვისმინოთ  
ჭარების „ვაშა“ ძლიერი.

რა სიმღერები გაისმის,  
რამდენი დროშა ფრიალებს,  
რა სიხარული სწვევია  
საბჭოთა ადამიანებს!

ნოემბრის დილა გათენდა,  
აბა, შინ როგორ დავრჩებით!  
ბერიას მოედნისაკენ  
ერთად ვიჩქარით ბავშვები.



ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის თ. ს. შურკინისა

## ჩვენი სამშობლოს დილა



ჩვენი სამშობლოს დილას დიდება,  
დიდი სტალინის მსია რომ  
ბრწყინდება!

გაუქრობელი ნათელი შუენის,  
მოსწანს კამკაშა და დიდებული.  
უნაზიროა სამშობლო ჩვენი,  
სტალინის სიბრძნით  
გაბრწყინებული!

გასედე ამ გზას, რა დიაღია,  
ჩვენს ხალხს რა დიდი გზა გაუელია!  
ეს დილა ხალხთა კანთიადია,  
კაცობრობის გასაფესულია!

ჩვენი სამშობლოს დილას დიდება,  
იგი არასდროს დაიბინდება!

გრიგოლ ავაშიძე

საქართველოს  
საბჭოთავო  
ხალხთა რესპუბლიკის  
გამომცემლობა

# ჩ ე მ ი შ ვ ი ლ ი

ჩემს ოლღეს პატარაობიდანვე იზიდავდა წიგნები. ოთხი წლისამ უკვე წერა-კითხვა იცოდა. ერთხელ მას სათამაშო „პიონერ-კონსტრუქტორი“ ვაჩუქე, ოლღემ მაღე აითვისა თვითმფრინავის, ქარის წისკვილისა და ავტომანქანის მოდელის დალაგება. ხუთი წლისა უკვე ციგურებით სრიალებდა.

მაგონდება ოლღის პიონერ-ორგანიზაციაში შესვლა; მან განთიადზე გაიღვიძა და მოუთმენლად დაიწყო ჩაცმა. სკოლიდან ოლღევი გაბრწყინებული თვალებით დაბრუნდა. ყელზე უკვე წითელი ყელსახვევი ჰქონდა. არასდროს ავიწყდებოდა რომ პიონერი იყო, პიონერულ დავალებებს პირნათლად ასრულებდა, მისი ტანსაცმელი მუდამ ახალი გეგოვნებოდათ, ისე კარგად ჰქონდა გაწმენდილი და დაუთოვებული.

— მე უკვე პიონერი ვარ, — ამბობდა იგი, — ჩემგან მაგალითი უნდა აიღოთ.



მას ძლიერ უყვარდა სპორტი, მაგრამ წიგნების კითხვაზე უფრო მეტ დროს ხარჯავდა.

ოლღევი საუკეთესოდ სწავლობდა, კედლის გაზეთის რედაქტორი იყო და ლექსებსაც წერდა. შეეგებებოდა ფოსტალიონს და ჟურნალ-გაზეთებს სულ გადიკითხავდა.

მას ძლიერ უყვარდა ამხანაგები, ეხმარებოდა მათ, რომლებიც ჩვენზე ღარიბად ცხოვრობდნენ.

აი, ჩვენ ფერადი ფანრებით მორთული ნაძვის ხე გვაქვს, ჩამოვკიდეთ კომფეტები, სხვადასხვაფერის რგოლები. ნაძვის ხე მზადაა.

— დედიკო, — მეუბნება ოლღევი, — მოდი, ნაძვის ხე პირველად იმათთვის ავანთოთ, — ვისაც სახლში ნაძვის ხე არ ექნება, თანახმა ხარ?!

როდესაც ოლღის მამა გარდაიცვალა, ცხოვრება გაგვიჭირდა და ოლღემა სამუშაოდ წასვლა მოიწადინა:

— იცი, დედა, პატარა აღარ ვარ, სწავლაც და მუშაობაც შემიძლია, — მითხრა მან, მაგრამ მე სამუშაოზე არ გავუშვი.

მას უყვარდა ზრუნვა ამხანაგებზე. — დედა, — მეტყოდა იგი, — ეს კონსტუმი დამიპატარავდა, მე მეორეც მაქვს, კოლიას კი სრულიად არაფერი აქვს, იქნებ ეს იმას ვაჩუქოთ?!

ასე იზრდებოდა ჩემი ოლღევი. იგი ოცნებობდა ინჟინერი გამხდარიყო და არაფერი შეუშლიდა ხელს, მაგრამ დაიწყო ომი და ჩვენს სოფელშიც მოვიდნენ წყევული გერმა-

ნელი ფაშისტები. ისინი დაუნდობლად სჯიდნენ კომუნისტებს, კომკავშირელებს და საბჭოთა უდანაშაულო ხალხს; პიტლერელებმა, კაცები, ქალები და ბავშვები ბალში მორეკეს, ხუთ-ხუთი კაცი ერთმანეთზე გადააბეს და. ცოცხლად დამარხეს.

— ხედავ, დედა? როგორ ექცევიან ისინი ჩვენს ხალხს! — მეუბნებოდა ოლეგი, — განა შეიძლება ამის მოთმენა?..

მე და ოლეგი მეგობრები ვიყავით. იგი არაფერს მიმაღავედა; მან ერთხელ თავის საყვარელი საქმე გამანდო. მიაშპო კომკავშირული ფარული ორგანიზაციის „ახალგაზროდა გვარდიის“ დაარსებაზე; მე ვამაყობდი ჩემი თექვსმეტი წლის ვაჟით, მჯეროდა მისი სიმართლისა. ომის დროს ვეხმარებოდი მის ამხანაგებს სააგიტაციო ფურცლების ტექსტის შედგენაში, მათ გადაწერასა და გავრცელებაში. ამ ფურცლებს ჩვენ ღამ-ღამობით ეზოებში ვყრიდით, ბოძებზე ვაკრავდით, რითაც ვამხედდით ფაშისტთა ცრუ ცნობებს საბჭოთა არმიის დამარცხებაზე. მოსახლეობას ვატყობინებდით სტალინ-გრადალთან ჩვენი არმიის გამარჯვებას... მე ვინახავდი მათ მიერ მოტანილ იარაღს. ჩვენს ბინაში, გერმანელთა სამხედრო ბანაკიდან გამოპარულ საბჭოთა ტყვეებს ვმაღავდით, ვეხმარებოდით საბჭოთა დაქრილ მებრძოლებს.

ოქტომბრის რევოლუციის ოცდახუთი წლისთავისათვის ოლეგმა გადაწყვიტა ჩვენი ქალაქის გალატაკებული მოსახლეობისათვის, — წითელარმიელთა ობლდებისათვის საჩუქრად პური და კარტოფილი დაერეგებინა.



1943 წლის I-ლ იანვრიდან დაიწყო „ახალგაზრდა გვარდიელთა“ დაპატიმრება, პოლიციელები გაფაციცებულ ეძებდნენ ოლეგს. ოლეგი მიიშალა, მაგრამ მოლაღატემ გასცა იგი. ჩემი ოლეგი აწამეს.

როდესაც ფაშისტების მიერ გადამწვარ შახტში ჩემი შვილის დამახინჯებული ცხედარი ვნახე, ძლივს და ვიცანი, ჩვიდმეტი წლისაც კი არ იყო და ტანჯვისაგან თმები გასთეთრებოდა.

ფაშისტებმა ოლეგის სხეულზე მისი კომკავშირული ბილეთის ნომერი ამოსწვეს, მაგრამ ოლეგმა გმირულად გაუძლო ყველა წამებას.

თვალწინ მიდგას მისი მართალი და ღია თვალები; აი, უზის იგი თავის თანაკლასელს და რთულ ამოცანას უხსნის. აი, იგი ზრდილობიანად უთმობს მოხუცს ადგილს. აი, ოლეგი ოჯახურ საქმეებში მეხმარება, შეშას მიჩხავს; აგერ, სახემომღიმარი ბრუნდება ციგაობიდან, მის მხრებზე თოვლის ფანტელები ბრწყინავენ; და ახლაც ყურში მიდგას მისი სიტყვები:

— მამაცი ერთხელ კვდება, მხდალი — მრავალჯერ!



მამარ საჯაი

ნახატები გრ. ჩიჩინაშვილისა

## ვინ არის ნამდვილი მეგობარი

კლასში, ქართულის გაკეთილზე, მანანამ წაიკითხა თავისი მოთხრობა: „ჩვენი ახალი სოფელი“. მასწავლებელმა ხუთზე შეაფასა.

— აბა შენ, ცირა, რა დასწერე? — მიზართა მან მანანას გვერდით მჯდომ გოგონას.

ცირა შეიშმუნა, ლოყები წამოუწითლდა, ძლივს წამოდგა, ის იყო უნდა ეთქვა — დაეალება არ შემისრულებიაო, რომ მანანამ ხელში ნაწერი მიაჩეჩა.

— აიღე, მე ორი მოთხრობა მაქვს დაწერილი!

ცირა შეეკუმანდა, მაგრამ მანანამ კიდევ ერთხელ წააკრა მუჯღუგუნე მერხს ქვევიდან. მასწავლებელი იმ დროს საკლასო ჟურნალს ათვალისწინებდა და ეს მოძრაობა გამოეპარა.

— რას უცდი, ცირა, — თქვა, მან, — დაეალება არ შეგისრულებია?

— როგორ არა, მასწავლებელი! — წამოიძახეს სხვებმა მის მაგივრად.

ცირამ ნელი, გაუბედავი ხშირ დაიწყო კითხვა, და ისე დაამთავრა, რომ თავი

მალდა არ აუღია, ვერ ბედავდა მასწავლებლისათვის შეეხებოდა.

— კარგად დაგიწერია, მაგრამ ცუდად კითხულობ, იმედია წელს უკეთ იმეცადინებ და ზარმანდელ სამიანს გამოასწორებ.

ცირამ სული მოითქვა და მანანას მალეობით გადაჰხედა.

— გადააჩინა, გადააჩინა! — წაიჩურჩულეს აქეთ-იქიდან.

ზარის წკრიალი გაისმა. პედაგოგი ბავშვებს დაემშვიდობა. გოგონები აიშალნენ. ცირა მანანას გადაეხვია:

— რა კარგია რომ დღეს გადამარჩინე. ისე ვერთობოდი ზაფხულში სოფლად, რომ არც კი გამხსენებია ეს დაეალება.

იმ დღიდან მანანა და ცირა ძალიან დამეგობრდნენ, მუდამ ერთად იყვნენ. მხოლოდ ერთი რამ ანსხვავებდა ამ ორ მეგობარს: მანანა ხუთოსანი ვახლათო, ცირა კი სამებზე ძლიერ სწავლობდა. მასწავლებლები ხშირად მიმართავდნენ მათ:

— არ გრცხვენია, ცირა, მანანა ხუთოსანია, შენ კი ასე ჩამორჩები! ან მანანას უსაყვედურებდნენ: შენი მეგობარი რომ ზარმაცობს რატომ უკრძალებს არ აქცევო.

მეგრამ პატარებს არ აწუხებდათ ეს ამბავი. ისინი ერთმანეთის საუკეთესო მეგობრებად თვლიდნენ თავს. დღესაც მანანასთან მიერბინა ცირას და მის ბაღში მსლის ხეზე ასულიყო. მანანა მავიდას მისჯდომოდა და არითმეტკაში საშინაო დავალებას ამზადებდა.

— მანანა, ერთი შეხედე რა მსხალია! — ჩამოსძახა ცირამ, — შენ ამოცანა გამოიყვანე, მე კი მსხლებს ჩამოგიტან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანანა ცირას მიერ დაკრეფილ მსხალს შეექცეოდა, ხოლო ცირა მანანას ამოხსნილ ამოცანას თავის რვეულში იწერდა.

— რა კარგია, მანანა, რომ ასეთი ამხანაგობის გაწევა შეგიძლია. ნაწულიც ხომ ხუთოსანია, გქმინ მისთან გულნარა და მქია მისულან და უთხოვიათ საშინაო დავალება გადაგვაწერინეთო. იმას უარი უთქვამს: თუ გინდათ, მე გამოაცანის წესს ავიხსნითო. — თან მურაბებზე მიუპატრინია ამხანაგები, მეგრამ გაბრაზებულან და არ დარჩენილან.

მეგობრებმა კარგა ხანს ილაპარაკეს ნაწულიზე. შემდეგ, მანანამ ჩაალავა წიგნები, მუსიკის გაკვეთილზე აგვიანდებოდა.



— მე კი ახლავე მოვამზადებ ქართულს, — თქვა ცირამ და სახლისაკენ გაიქცა ეზოში მეზობლის ბავშვები ბურთის თამაშობდნენ და ისიც მათთან გაქართო. სიღამის არც კი გახსენებია გაკვეთილების მომზადება.

საზაფხულო გამოცდებამდის ერთი თველა დარჩა. მანანას მამა სხვა ქალაქში გადაიყვანეს სამუშაოდ და ოჯახიც თან წაიყვანა. პატარა მეგობრები თვალცრემლიანები დაემშვიდობენ ერთმანეთს. დარჩა ცირა მარტო. მანანასგან ვაღაწერას მიჩვეულს გაუჭირდა საშინაო დავალებების შესრულება და ზედიზედ მიიღო ორიანები.

ცირას კლასს პირველი გამოცდა არითმეტკაში ჰქონდა. გოგონები სწრაფად ხსნიდნენ რთულ მაგალითებს და რიგრიგობით სტოვებდნენ კლასს. ბოლოს, მეგრზე მხოლოდ ცირა დარჩა. ალღელებსიგან თითებიც იტკრებდა.

ბოლოს ატრიებულმა დაუმთავრებელი ნამუშევარი გადასცა მასწავლებელს. კარგბთან ამხანაგები ელოდებოდნენ, მიხვდნენ რომ საქმე კუდად ჰქონდა.

— მანანა რომ აქ იყოს, ცირას ეს არ მოუვიდოდა, — თქვა მზიამ. სხვებიც დაეთანხნენ.

— მანანას ბრალია, რომ ვერ ამოხსნა მაგალითი, მიჩვეული არის ვაღაწერას, — შენიშნა ნაწულიმ.

ბავშვებმა ამრგზით შეხედეს ნაწულის. ცირამ არაფერი თქვა, რადგან მის ნათქვამში სიპართლე იგრძნო.

კლასის ხელმძღვანელი საზაფხულო არდადეგებზე ითხოვდა ბავშვებს. ყველანი მზიარულობდნენ. ცირა დაღვრემილი შესცქეროდა ნიშნების ფურცელში აღნიშნულ ორიანს.

— შენ იცი, ცირა, როგორ იმეცადინებ არითმეტკაში, ეცადე ამხანაგებს არ

ჩამორჩე. — მიმართა მას კლასის ხელმძღვანელმა.

მასწავლებელმა შენიშნა, რომ ნანულის რაღაცის თქმა უნდოდა.

— რა გაწუხებს ნანული?

— პატივცემულო მასწავლებელო, — დაიწყო ნანულიმ, — ცირამ რომ ორიანი მიიღო სულ მანანას ბრალია. ის გადააწერი-ნებდა ხოლმე თავის საშინაო დავალებებს.

კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. ცირა თავდაზრილი იდგა. კლასის ხელმძღვანელმა ნანულის ხელი გადახვია.

— აქამდე რატომ არ მოთხარი?

— ეს რომ შეთქვა მამბზღარას დამარკმევდნენ!.. — წყენით გაიფიქრა ნანულიმ, მაგრამ არაფერი თქვა.

მასწავლებელი მიუხედა ნანულის და ბავშვებს გადახედა. ისინი სულგანაბული ისხდნენ.

— ჩემო პატარა მეგობრებო, ნახეთ რა ცუდი შედეგი გამოიღო მანანას და ცირას მეგობრობამ?! ეეთანხმები ნანულის და მეტს არაფერს გეტყვით. ახლა კი დაე-ლებას გაძლევთ: არდადეგებზე დაწერეთ მოთხრობა, ასეთი სათაურით: „ვინ არის

ნამდვილი მეგობარი,“ ამით გავიგებთ რა გაცივთილი მიიღო ყოველმა თქვენგანმა მანანას და ცირას მეგობრობისაგან.

იმ საღამოს ცირა ცუდად გრძობდა თავს, დედას და მამას თვალს არიდებდა, ბოლოს მაკიდებს მიუახლოვდა და ხელში კალამი აიღო. როდესაც წერა დამთავრა მავიდასთან ჩაეძინა. წინ ასეთი ბარათი ელა:

„საღამო მანანას!

მანანა, მე და შენ თურმე ცული მეგობრები ვყოფილვართ. ნაცულად იმისა, რომ ერთად მოგვეშინადებინა გაცივთილები, შენ მზანზარულად მაწერენებდი ყველაფერს, ამიტომ არითმეტკაში ორიანი მაქვს. ნანული უფრო კარგი ამხანაგი გამოდგა. მასწავლებელმა დაგვაჯალა დავწეროთ მოთხრობა თემაზე: „ვინ არის ნამდვილი მეგობარი“ შენც დაწერე ამ თემაზე მოთხრობა და გამომიგზავნე. გთხოვ მან არავის გაუწიო ისეთი ამხანაგობა, როგორსაც მე მიწვევდი. ნანულიმ მოთხრა: მოდი მე და შენ დავმეგობრდეთ, მაგრამ იცოდე, ორივემ უნდა ვიმეცადინოთო.

ცირა.“





აკრონოლი

წიგნები

მე ბევრი მაქვს სათამაშო,  
 ბევრი ნიუთი გასართობი:  
 კონტა ავტო, ლურჯა ცხენი,  
 კარგი ხმალი, კარგი თოფი;  
 ბურთებიც მაქვს: მირს რომ დავერჯე,  
 მაღლა ცაში ადის ხელათ,  
 ერთი გოგონის ოდენად,  
 ძეორე კი — ბუმისხელა.  
 აი ჩემი ძალსასებიც,  
 კეთილები გულით ეველა:  
 ვაფარა და ფისუნია,  
 ბეკევა და მურიკელა,  
 მტრუდები და ბელურები  
 ჩემი ხელით ნაწურები...  
 მაგრამ ახლა, როცა სკოლის  
 შევივებარე ესო-კარო,  
 წიგნსე უფრო ახლობელი  
 არაფერს მაქვს მეგობარი.  
 ის ჩემია, ის შენია  
 მოსაუბრე სულ სხვა ენით,  
 სიბრძნის წყარო, ცოდნის წყარო  
 და სიძარტლის სხივთა ძეგნი.  
 და თუ ახრი ცოდნისაკენ  
 ახალ-ახალ გზაკვალს იკნებს,  
 მეგობრებო! ვუძადლოდეო,  
 ვუძადლოდეო მხოლოდ წიგნებს!

ნახატი გ. ჩოიანიშვილისა





# ფისოს დანაშაული

ზღაპარი

ტირის კობტა ბაქია,  
გულთეთრა, კულდაცარა,  
ფისოს დაუფაქნია  
საცოდავი ცანცალი.  
ყურდიან კვლავ მოწვეთავს  
სისხლის წვეთი პატარას;  
მას ყვინჩილა მოწმედ ჰყავს  
და მოწმე არ დაფარავს, —  
როგორ მოხდა ჩხუბი და  
დამნაშავე ვინ არის.  
ფისოა თუ ყურდილა,  
კულდაცარა მტირალი.  
დახეთ კობტა ბაქიას;  
ფისოს როგორ უჩივის,  
როგორ განრისხებულა  
ის აქამდე გულჩვილი.  
შეეკითხა ყვინჩილას:  
— მოსამართლეს სად ვნახავ?  
ფისო გადამეძტერა,  
და ამ დილით გამლახა...  
— ჩივი? შენს პირს შაქარი,  
გემოწმებით ამალით,  
მოსამართლეს აქ არი —  
ჩვენი თეთრი მამალი.

მეც არ მომწონს ის ფისო,  
მისი უშნო ჩხავილი, —  
ფეხი რომ არ გამკაწროს  
ისე გვერდს არ ჩამვილის.  
თუ კი მართლა უჩივი,  
ლობის კიდეს გაჭყევი;  
იქ სვირნობს მამალი,  
თუთა რომ დგას ნამყენი, —  
გაეშურა ბაქია  
საჩივლელად მამალთან,  
და მიმართა მუდარით,  
როგორც მშველელ მამასა:  
— დამიფარე, მიშველე. —  
ეუბნება ტირილით, —  
აი, ნახე, სისხლი მდის,  
მტანჯავს ყურის ტკივილი. —  
მოუხსინა მამალმა  
ბაქიას გაკვირვებით,  
და დასძინა თამამად,  
ამგვარი დაპირებით:  
— შე გაეარჩე მეგ საქმეს,  
მოწმე თუ გყავს ნამდვილად,  
დღესვე დავსჯი, ბაქიავ  
ვინც შენ სისხლი გადინა.

ეს თავგებმა გაიგეს  
ისტუმეს და იტინეს,  
მარნის გარეთ გავიდნენ  
ასე უთხრეს წიწილებს:  
— მეგობრებო, გაიგეთ?  
ჩვენ ბაქიამ გვიწვლია;  
შუადლისას მარანში  
ფისოს საქმე ირჩევა.

შუადღეა. მარანში  
მსაჯულელებით — ამალით,  
განათლებულ დარბაზში  
მოდის თეთრი მამალი.



დამწავევც იქ არი  
შიშით ჩაფიქრებული,  
მოსამართლეს შეწყურებს  
სულმთლად გაფიქრებული.  
მცველად უღვას მურია,  
ქათმები გარს უვლიან.  
აღვა თფერი მამალი,  
მოსამართლის ივრით;  
მეტად დადინჯებული,  
ამაყი და ძლიერი.  
ბევრი არ უფიქრია,  
უცებ ჰკოთხა ყვინჩილას:  
— მართალია ბაქია,  
თუ ტყუილად იჩილა?!  
მოწმე ამბობს ყველაფერს,  
რაც ნახა და იცოდა.—  
და დარბაზში დამსწრეთა  
მღელვარე ხმა ისმოდა.  
ამ დროს აღვა კრუბი და  
მოსამართლეს მიმართა:  
— მომისმინეთ მამალო,  
გეტყვით რა დამემართა:  
ამას წინათ შეილებით  
მივდიოდი წყლის პირას,  
უცბათ ფისომ ჰქურდულად  
მოიტაცა წიწილა.—  
და დარბაზში ხელახლა  
იტყდა აურხაური.  
ძლივს შეწყვიტა მამაღმა  
მომჩივანთა ხმაური.



მსიჯულები უვცრად  
წამოდგნენ და გავიდნენ,  
პატარებო, სულ მალე  
განაჩენსაც გაიგებთ!  
შემოვიდა მამალი  
ვაგაკური ივრით,  
თითქო უფრო მაღალი,  
თითქო უფრო ძლიერი.  
უცბათ ერთმა ქოჩორამ,  
ფრთაქერლმა და თავშევაჲ,  
განაჩენი დარბაზში  
წასაკითხად გაშალა:  
— კრუხმა ხომ მთლად ამხილა,  
საქმეს გვერდს ვერ ივუვლით,  
დადასტურდა მთლიანად  
ფისოს დანაშაული.  
რადგან მეტად ვაგავრდით  
ჩვენ ფისოს საქციელით,—  
დავადგინეთ: სახლიდან  
იბარგოს ცბერიო.—  
ტაში დაჰკრეს.. ბაქიას  
იუხდა რაც ინატრა,  
ფისო შეკრთა... უვცრად  
კრუხმა ჩაუნისკარტა.  
დაბარბაცდა, შებრუნდა,  
ქშენით ამოისუნთქა,  
უცებ ელვისებურად  
დარბაზიდან ისკუპა.  
ამგვარ დანაშაულზე  
წინათ არვინ დასჯიდა,  
ახლა პირშერცხვენილი  
გააძევეს სახლიდან.



# მ ა ჩ ვ ი დ ა მ ე ლ ა

(მედიუმის ზღაპარი)

ტყეში ცხოვრობდა ბებერი მაჩვი თავისი მეუღლით. ერთხელ ახალადგილზე გადასახლება დააპირეს. ხმები დადიოდა, რომ მდინარის გაღმა უფრო ხშირი ტყე იყო და საზროც ბლომად იშოვებოდა.

გადაწყვიტეს მთელი ქონება მდინარეზე გადაეხიდათ და გაღმა მხარეს დასახლებულიყვნენ.

მაგრამ ბარგის გადასახიდად ნავი არ ჰქონდათ. წაივინა მაჩვი ტყეში რომ არყის ხის ქერქისაგან ნავი გაეკეთებინა. მისმა მეუღლემ კი ბარგი ტომრებში ჩაალაგა, მდინარის ნაპირის მიზიდა და ელოდებოდა.

დაინახა, მდინარეზე ნავი მოდის და ნავში მელა ზის. მელამ ნავი მდინარის ნაპირას მიაყენა და გაღმობტა.

- გამარჯობა, ბებია!
- გაგიმარჯოს მელიაი!..
- აქ რას აკეთებ?

— ჩემს მოხუც ქმარს ველოდები, ტყეშია წასული არყის ქერქისათვის, ნავი უნდა შევკეროთ. გვინდა მდინარის გაღმა გადავბარგდეთ და იქ ვიცხოვროთ.

შეხედა მელამ ბარგით სავსე ტომრებს, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და ეუბნება:

— სანამ შენი მოხუცი არყის ქერქს დაამზადებს და მოიტანს, მოდი მე დავგებმარები, ბარგის გადახიდავს დავიწყებ და შემდეგ შენც გადაგიყვან.

გაუხარდა მაჩვის, დაავლო პირი ტომრებს და ნავში ჩაალაგა. ნავი

სულ გაივსო ბარგით. მაჩვის უნდოდა, რომ თვითონაც ტომრებზე მოთავსებულიყო.

— დაიცა, ბები, — უთხრა მელამ, — ხომ ხედავ, ნავი სავსეა, შენ სადლა მოთავსდები? ნავი გადაბრუნდება, დავიღუპებით! ჯერ ბარგს გადავიტან, შემდეგ მოვბრუნდები და შენც გაგიყვან.

მელა ნიჩბით ნაპირს მიაწვა და ნავი გაჰყვა დინებას.

— საით მიდიხარ? — უძახის მაჩვი.

— მდინარემ წამიღო, ბები, ნავს ველარ ვაკავებ!

— ეი, მელავ, იქითა ნაპირისაკენ წაიყვა ეგ ნავი!

— ნუ სწუხდები, ბები, ნავს იქ მივაყენებ, სადაც საჭირო არის!

იციინის მელა და მიაცურებს ნავს მაჩვების ბარგით. მიხვდა მაჩვი, რომ მოატყუა ეშმაკმა მელამ. დაჯდა კენჭებზე და ტირის.

იქვე კოდალა მიფრინავდა, გაიგონა მაჩვის ტირილი და ეკითხება:

— ვინ გაწყენინა, ბები, რა მოგივიდა?

— მელამ გამძარცვა, მთელი ჩვენი ქონება გაიტაცა... რა დღეს დამაყენებს ახლა ჩემი მოხუცი, რომ დაბრუნდებამ?

— ნუ სტირი, ბები, — უთხრა კოდალამ, — დამაცა და მელას მე ვაჯობებ ეშმაკბაში!

გაფრინდა კოდალა, ტყეს გადაუარა, კონცხს შემოუარა, დაჯდა ბუჩქზე და ელოდება, მელა როდის ჩაივლის ნავით.

მალე ნავიც გამოჩნდა. შიგ ტომრები და ზედ მელა ზის არხვინად. მიუახლოვდა ნავი ბუჩქს და კოდალამ დაუძახა:

— მელიკო, ჩემო მელიკო, ჩამსვი ნავში!

— საიდან მოდიხარ, ან საით მიდიხარ?—ეკითხება მელა.

— მე ტყეში ვიყავ, იქ დავფრინავდი და ფრთები დავიზიანე. მიჭირს, დაზიანებულ ფრთებს ველარ ვხმარობ.—მიმიყვანე ნავით სახლამდე!

კარტით შეუმჩნევლად ხვრეტს. არცის თხელი ქერქი აღვილად გახვრიტა. ნავში წყალმა იწყო შესვლა.

— ეს რაა, ნუთუ ნავში წყალი შემოდის?—იკითხა შეშინებულმა მელამ.

— მართლაც წყალი შემოდის!—უპასუხა კოდალამ—ალბათ, სადმე ქერქის ნაკერი გაირღვევოდა.

— ნაპირს უნდა მივადგე, ნავი შევაკეთოთ,—ამბობს მელა.  
მიაბრუნა ნავი ნაპირისაკენ, მია-



— ნავში აღგილი არა მაქვს, სად უნდა მოთავსდე?—უთხრა მელამ.

— კუნძულში მივიყუყუები, პატარა ვარ, რა ბევრი აღგილი დამჭირდება!

ამოეფარა კოდალა ტომრებს და მიცურავენ. მელა ნავის კიჩოზე ზის, ნიჩაბი უკირაუს და ნავი მიჰყავს. კოდალა კი ნავის ფსკერს ნის-

დგა ერთ კვას, გადახტა ნავიდან და კოდალას ეუბნება:

— შენ ტომრები გადმოზიდე ნავიდან და შემდეგ ნავიც გამოათრიე ნაპირზე. ნავი უნდა გადავაბრუნოთ და ნახვრეტი ვიპოვოთ ფსკერში. მე კი ტყეში გავიქცევი, ნაძვის ძინოს ვიშოვი, ნახვრეტს შევწებავ და გზა განვაგრძოთ.

როგორც კი მელა ტყეში შევიდა, კოდალამ ბუჩქზე წვრილი ტოტი მოსტეხა, ჩააბრუნა ნახვრეტში, ჩაჯდა ნავში და გასწია უკან, მაჩვისაკენ.

მორბის მელა ტყიდან, ძინთი უშოვია და მოაქვს.

ნავი კი უკვე შორს წასულა ნაპირიდან.

მელა გაოცდა.

— კოდალავ, შეე საძაგელო! ახლავ დაბრუნდი უკან, გესმის, თუ არა!...

— არა, მელავ, არ დავბრუნდები! — უპასუხა კოდალამ.

— დაილუბები, ნავი ძირგახვრეტლია!

— ნახვრეტი მე ჩხირით დავკმანე!

— მობრუნდი უკან, შეე ავაზაკო, შენა!

კოდალა კი იცინოდა და გზას განაგრძობდა.

მივიდა, სადაც მაჩვების კარავი იდგა. ესმის — ბერიკაცი დელაბერს ლანძღავს და ორივენი სტირიან.

გაღმოვიდა კოდალა ნავიდან, მიირბინა მოხუცებთან.

— ნუ სტირი ბები! ნუ სტირი, ბაბუ! მთელი თქვენი ქონება უკანვე მოგიტანეთ და ნავიც ზედ მოვაყოლე.

გაუხარდათ ბებრებს, კინაღამ აცეკვდნენ.

— რით დავაჯილდოოთ ახლა ეს კეთილი კოდალაო? — თქვა ბებრმა მაჩვმა.

დელაბერმა — მაჩვმა კოდალას ქურთუკი შეუყვრა, შეუღებდა ფერადი თიხით, თავზე კი ქრელი ქუდი დაახურა.

ბერიკაცი — მაჩვი კარგი მქედელი იყო. გამოუქვდა კოდალას ფოლადის ნისკარტი და ბრჭყალები.

მას შემდეგაა, რომ კოდალა ასე ქრელია და ნისკარტს ისეთი მაგარი აქვს, რომ ყველაზე მაგარ ხესაც გახვრეტს.

თარგმანი პ. ჰანიშვილისა  
ნახატები ი. გაბაშვილისა



ალექსანდრე პუშკინი

## როცა დედა შინ არ არის

დილით ადრე ადგა დედა, გადარა კორდები, ხარინჯუბში ქათქათებენ ეს კომპნია ოდები.

გადავიდის მშვანე მინდორს, მიდის სახემღიმარი, დაე, ჩაის ბუჩქმაც იგრძნოს შრომის გმირი ვინ არი!

როცა დედა შინ არ არის, ეს პატარა თამარი, მიაღებებს, მოაღებებს ჯამჭურჭელი რაც არი.

მერე ეზოს შემოვიდის, შრომა მას არ სწყინდება, ხბოს აძოვებს, ქათმებს აჭმევს, ჭიდან წყალს ეზიდება.

შრომობს დედა, შრომობს შვიდი, თან ლილინებს თამარი, ეენახიდან გადმოდენა მამდაყინნა ფრთაბადი.

შემოდგომა მიიწურა, ნახეთ მათი გმირობა, დედამ ბელაძს, შვიდმა დედას შეუსრულა პირობა.

# შ ე ხ ვ ე ღ რ ა

ოცდახუთი წლის წინათ, აგარაკ ბორჯომში დასასვენებლად გაემგზავრა ახალგაზრდა ქალი. იგი მატარებლიდან ჩამოვიდა და სანატორიუმისაკენ მიიჩქაროდა. ამ დროს ერთ-ერთი სახლის ეზოდან მას ბავშვების მხიარული სიმღერა შემოესმა.

ახალგაზრდა ქალი შედგა, მოუსმინა და შერე ბავშვებისაკენ წავიდა.

მითხარით პატარებო, ვინ დასწერა ებ სიმღერა, თქვენ რომ ასე ლამაზად მღერით?

— ეს სიმღერა თამარ შავერზაშვილის დაწერილია.

— მოგწონთ?

— ძალიან, ჩვენ კიდევ ვიცი თ მისი სხვა სიმღერები, — მიუგეს ბავშვებმა.

— მაშ, მოდი, ერთად გიმღეროთ.

ბავშვები სიხარულით დათანხმდნენ. მგზავრი ქალი ჩამოჯდა, პატარები გარს შემოეხვიდნენ და გაისმა პატარ-პატარა სიმღერები.

ბავშვებო მოსვენებას არ აძლევდნენ ქალს და ეხვეწებოდნენ: გვიმღერეთ, კიდევ გვიმღერეთო.

სტუმარი ქალი შეჰპირდა ბავშვებს, რომ ხშირად ინახულდება მათ და დაპირება მართლაც შეასრულა.

ბავშვებმა აღშრდებულებისგან გაიგეს, რომ ეს სტუმარი მათი საყვარელი სიმღერების დაწერი, — კომპოზიტორი თამარ შავერზაშვილი იყო.



თბილისში დაბრუნების წინ, ბავშვების მეგობარი თამარი მატარებელში ავიდა და ფანჯრიდან ნაძვებით დაფარულ მთებს ერთხელ კიდევ გადახედა.


ამ დროს ბაქანზე სიმღერა გაისმა: ბავშვები მინდვრის ყვავილებით ხელში დეიდა თამარისაკენ მიიჩქაროდნენ, მხიარულად მიიჩინეს საყვარელ კომპოზიტორთან და თაიგულები მიართვეს.

— ბავშვებო, ამა თქვენ იცით, კარგად ისწავლეთ, მე კიდევ ბევრს დავწერ თქვენთვის! — უთხრა თამარმა პატარა მეგობრებს და ალერსიანად დაემშვიდობა.

კომპოზიტორმა ბავშვებს დაპირება შეუსრულა: ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში მან მრავალი საბავშვო სიმღერა, პიესა, გამოცნა დაწერა და ღლესაც დაულაღვად განაგრძობს მუშაობას.

თამარ შავერზაშვილმა ახლახან დაამთავრა საბავშვო ოპერა „იან-ნანა“, რომელიც დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მოთხოვნის „იან-ნანამ რა ჰქმნას“ მიხედვით არის დაწერილი.





# ბუნების კარი

## ფუტკარი

დაბურულ ტყის ერთ ბებერ მუხის ფულუროში ციყვები ცხოვრობდნენ. მით მრავალი გზა ჰქონდათ გაყვანილი ფულუროების ყველა მიმართულებით, — საკუქნაოებით და გამოსასვლელებით. ზაფხულის ერთ მზიან დღეს, მუხასთან, გუგუნითა და ბზულილით უამრავი ფუტკარი გამოჩნდა. შეშინებულმა ციყვებმა ფულუროდან გამოიხდეს და ცქერა დაუწყეს უსწაურ ჯარს, რომელიც მხოლობელ ტოტს შეესია.

გუგუნი თანდათანობით მიწყდა, ციყვებსაც გული დაუმშვიდათ. მაგრამ ეს რა ამბავია? ათიოდე ფუტკარმა სწორედ მათ თავზე დაიწყო ტრიალი. შეშინებული ციყვები ფულუროში შეკვიდნენ და შიშისაგან სულგანაბული ერთმანეთს მიეკერნენ. ფუტკარებმა რამდენიმე ხანს იტრიალეს ფულუროს წინ, აი, ერთი ფუტკარი ბზულილით დაჯდა ფულუროს პირზე, გაფაცოცებით შეძერა შიგნით, მის სხეულზე მიპყენენ, ბოლოს ყველანი გაფრინდნენ.

— დედა! ნეტავ რად დათვალა იერეს ჩვენი სახლი? — ჰკითხა დედას ყველაზე პატარა ციყვმა.

— შგონი ბინას ეძებენ, შვილო, ზევით, ერთი კუთხე რომ დაიკავეთ არაფერს დაგვიშავენებენ, — უპასუხა დედა.

ფუტკარები გაფრინდნენ და დედას ამბავი მიუტანეს: დიდებული დარბაზი აღმოვაჩინეთ, სადაც შეიძლება მშვენიერი ქალაქი ავაშენოთ.

ფუტკარების ჯარი ფულუროსაკენ დაიძრა.

უკიდ გამაყრუებელმა გუგუნმა ააესო დარბაზი. ფუტკარებმა სასწრაფოდ დაიწყეს დარბაზის წესრიგში მოყვანა; ზოგი ასუფთავებდა, ზოგი ხერხელებს აესებდა, ზოგი კედლებს ლესავდა და ზოგი კი შენობის აგებას შეუდგა.

დღე და-ღამე მუშაობდნენ ფუტკარები.

მეორე დღეს ფიჭების კედლები ჩამოჰკიდეს და ფიჭის უჯრედებში თან მოტანილი თაფლიც ჩაასხეს. — ფიჭების მშენებლობა რომ დაამთავრეს, სახარდოს შეგროვებას შეუდგნენ. ცაყხვისა და ტყის ნრაველნაირ ყვავილებიდან სწუწნიდნენ ტკბილ წვენს, აგროვებდნენ ყვავილის მტვერს და ფიჭები კრიალა თაფლით იესებოდა.

შრომისმოყვარე ფუტკარებს თავისდაცვა არ ავიწყდებოდათ; შესავალთან მუდმივად ედგათ მოდარაჯე ფუტკარები.

ერთ მზიან დღეს პატარა ციყვი ხერხელთან მიიპარა. ფუტკარების სადგომში ის იყო თავი შეჭყო, რომ გამოფრინდა დარაჯე ფუტკარი და დაუპატიებელ სტუმარს ცხვირზე უკბინა. ტკივილით ბინსაგან გაწარებული ციყვი დედისაკენ ყვირილით გაბრძოდა.

ვეთიან კორაშვილი  
ნახატი ბ. გორგაძისა



## გ ა ს ა რ თ ო ბ ი

### ხალხური გამოცანები

1. სასარგებლო მწერი არის, ფუსფუსა და მშრომელია, სხვა დროს შრომობს, ზამთარს არა, გამოიკან რომელია?
2. ხან მთაში ვარ და ხან ბარში, მზეში დავალ მთვრალივითა, გლეხი კაცი მიფრთხილდება მარგალიტის თვალისვითა.

შეკრებილი ან. ახალშენიშვილის მიერ

### არსული ხალხური გამოცანები

1. კული გარეთ, ცხვრი სოროში, ვინც ცხვირს მოატრიალებს ის კარებში შევა.
2. ექესი ფეხი, ორი თავი, ერთი კულირა არის?
3. თვითონ წყალია, წყალში კი ცურავს.

### ხალხური ანდაზები

1. აღრე ამღვარი ჩიტი ნისკარტს იშვენდს, მძინარა — თვალებს იფშენეტსო.
2. კარგი ამხანაგობა — კარგი შობის დარია.
3. ერთი თხლის გული — ცხრა ძმამ გაიყო.
4. ბუტიას წილი — გემრიელიაო.

## შ ა რ ა დ ე ბ ი

1. მისი გრგვენით შეზრილდა ბევრჯერ მთა და ბარი, ის ქართველთა გამარჯვების შემახილი არი; ბოლო ხმოვანს მოაცილებ — არ გჭირდება „ანი“.

სახელია გოგონასი, —  
ოთხი ასოც ვნახოთ:  
ორი ასო შეორდება —  
შუა უნდა გაყო...  
მიუმატე, და მიიღებ  
ხეზე მობმულ ნაყოფს.

2. ყველივან ველზე ერთი სახლი დგას: ასი მდგმური გადის, ასი — უცელის გარს, სამად-სამი ასო, და — ეიპოვნით სახლს.

ახლა ორი ასოც  
თვითონ იმან თქვას,  
ვისაც სურს რომ დაჯდეს,  
მაგრამ ფეხზე დგას.

## პ ა ს უ ხ ე ბ ი

ქუნდად „დიდაში“ მოთავსებულ გასართობზე

№ 4

ხალხური გამოცანები:

1. ფანქარი.
2. ყაყაო.

№ 6

ანსწავით და გამოიტანით:

18 კვერცი.

№ 8

გამოიტანით:

1. ქვანახშირი.
2. კომბაინი.

ხალხური გამოცანები:

1. ფეხსაცმელი.
2. საათი.
3. ირემი.

საქართველოს  
პარლამენტის  
მინისტრო  
8082

4932

# ფარები შირაქში მიდიან

გადაყვითლდა იაღალი,  
დაღვა ცივი დარები:  
ჩამოდიან მთიდან ბარში  
კოდექტივის ფარები.  
მიდის ცხვარი შირაქისკენ,  
მწყემსი დაღად ლილინებს.  
იქ.— შირაქში, ახდაც ისევ  
მწვანე მოლი ბიბინებს,  
იქ სითობა და ბაღაბი,  
მზე იცინის კეთილად:  
აქ კი მთების იაღალი  
რთვილით გადაპენტრიდა.  
მიდის ცხვარი. იმღერიან  
მწყემსნი,—სოფლის კაცები:  
ფარებს დინჯათ მიუძღვიან  
რქამაღალი ვაცები.  
ჭრიამული აღარ ცხრება  
ყვეფნ ფარის ძაღლები,  
გზამშვიდობის, დედაცხვრები!—  
შირაქს მივახლებით...  
დაიხამორებთ ბარის გულზე,—  
ჩვენც სწავლაში ჩავებით,  
დაგვიბრუნდით გაზაფხულზე  
მთაში, ქორფა კრავებით.



ნახატი გრ. ჩირინაშვილისა

ყდაზე — „ზეიმა სანაპიროზე“ — ნახატი ალ. ვეფხვაძისა

ბასუხისმგებელი რედაქტორი რ. შარბინი  
სარედაქციო კოლეზია: გრ. აბაშიძე, ე.ა. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ზ. ცხადაძე,  
თ. თუშანიშვილი, მამუ. მრამულიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უაწყაროშვილი.  
გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ 3-81-85  
გამომცემლობის შეჯ. № 110 სტამბის შეჯ. 2183/1277 ტირაჟი 7000 ფე 04439 ფასი 5 მან.  
ტექსტი აწყობილია ლ. პ. ზერიახ სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ფერნალი  
დაბეჭდილია ოქტეტის სისტემის მანქანაზე. \*ხარია ვოსტოკას“ სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42.

РУСТАЛИ, 29  
ККЭП. 5, 8А  
1 12